ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6377224

ნომერი: AR1944774

თარიღი : 18.01.2023

გაცემის თარიღი : 21.03.2023

გაცნობის თარიღი : 21.03.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ომარ ფხაკაძის ქუჩა, N 55;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კაკულია პ/ნ 41001002563
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 41 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3878543
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 22.03.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ პატარქალიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ვინჩი დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405115450

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ვინჩი დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405115450
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მერაბ კაკულია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 41001002563

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1790.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 467.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2789.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1617.3
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 733.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 240.9
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 198.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 6240.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5160.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1080.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 20.25
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 13.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.75
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 467.7 (0.3)
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2087.6 (1.2)
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 454.5 (0.3)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:
1. სიმაღლის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება მხოლოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე/ტერასაზე მოწყობილი სამყოფი/სათავსი რომელიც განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის დადგენის მხრიდან შეწეულია მინიმუმ 2 მეტრით. ამასთან შენობის სიმაღლე განისაზღვრება გრუნტის ყველაზე დაბანი ნიშნულიდან (,,13-13“ ღერძიდან კონსტრუქციის ზედა ნიშნულამდე).
აღნიშნული ხარვეზიდან გამომდინარე გიხარვეზდებათ ყველა საჭირო ველი.

2. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:
დაუშვებელია მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილებისა და არქიტექტურული დეტალების ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივ სივრცეში გრუნტის ზედაპირიდან 2,7 მ-ზე მეტ სიმაღლეზე: ა) აივნებისა და ერკერების შეჭრა 1.4 მ-ზე მეტად; ბ) აივნებისა და ერკერების მიახლოვება ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვით სიბრტყემდე 1,2 მ-ზე მეტად; გ) ფასადის არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი გადმოწევა 0.3 მ-ზე მეტად; დ) შენობის დამამთავრებელი კარნიზების და სახურავის არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი გადმოწევა 1.4 მ-ზე მეტად.
წარმოდგენილი პროექტის მიხედვით კონსოლით გამოწეული ნაწილით არ არის დაცული ზემოაღნიშნული პირობა.

3. შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:
მიუთითეთ მოსაპირკეთებელი მასალები და ფერები.

4. III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:
მისაწვდომობის შეფასებაში დეტალურად განიმარტოს თუ როგორ ხდება საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო შენობამდე მისვლა.

5. საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა. -> . კონსტრუქციული დასკვნის pdf ფაილი:
წარმოადგინეთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.